


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბედობიც ბეჭდ-
უჭი სიფყვას, ცყდილებით და ჭბებით ბუბ-
თის გატანა ყველა უჯარბისბაზაჟ უსაბაგლესია.

თბილისი

სუთმაბათი, 3 ნოემბერი. 2016 წ. №205 (8097), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

სანამ სიკვდილის ქაღაბი თქვენს კართან ჩაიბუნსლებდეს...

სანიჭსეთო თაბაზაბი

5



მთავარი პრიორიტეტია ქვეყნის თავდაცვა!

4

დღის ფრაზა



ომარ ნიშნინიძე:


მოსასპით არის ეს კაცია...

...ბატონმა ბიძინა ივანიშვილ-
მა შექმნა ეს პარტია, ეს მოძრაობა
და მიგვიყვანა ჩვენ ყველანი. რა
თქმა უნდა, ყველანი, ერთი-ორის
გარდა, წინააღმდეგობრივი მო-
ძრაობიდან – 2003-2004 წლიდან
მოვდივართ: გვირტყამდნენ,
გვცემდნენ, მაგრამ გადავიტანეთ
ეს ყველაფერი და ეს კაცი რომ არ
მოსულიყო, კიდე დიდხანს ვიტყ-
ლაშუნებდით ტალახში. მოვიდა,
გადაგვარჩინა და, ბუნებრივია,
გავლენა ექნება. მოსესავით არის
ეს კაცი, 40 წელი რომ ატარა ებ-
რაღელები უდაბნოში... და ეს სიკე-
თით სავსე ქველმოქმედი გვპირ-
დება 2030-ში ფონს გასვლას...




მილიარდების 4
პარტია
საკანონმდებლო
ორგანოში
აღბილები 75%
მიიღო, სააკაშვილის
მონოღებას კი
მხარი მხოლოდ მისმა
სოლამ დაუჭირა

რას მოუტანს
რუსეთ-
საქართველოს
ურთიერთობებს
მოსკოვში
პატრიარქ ილია
მეორის
სტუმრობა?



7

რუსმა 12
ტურისტებმა
ქართულ
სამზარეულოს
ჩაიტინებუი
მეორე აღბილი
მიუჩინეს




კანონპროექტი
უვილად
აყვანის
ნესი 9
იხვლება



ბოტანიკური ბაღის ყოფილი ტერიტორია სახეს იხვლის 12

ჯოვანი სკულიერი 3 ტფილისური სილაგაზის
იტალიელი „აღმოჩენი“



სალხის სმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აკვირდინოს ქართული ოცნება



სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატი №1 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. თბილისი.



ირაკლი სენიაშვილი №27 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. თელავი



გელა სამხარაული №28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ახმეტა



პაატა მხეიძე №29 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. რუსთავი

პრეზიდენტის უფლებამოსილების პაღას პეკაინი შეახება!

კონსტიტუციონალისტთა ნაწილის მოსაზრებას, რომ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს უფლებამოსილების ვადა შესაძლოა, დროზე ადრე შეუნწყდეს, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ეხმაურება და აღნიშნულ განცხადებებს სპეკულაციებს უწოდებს.

„ჩვენ წინასწარ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ გვაქვს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ყველაფერთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული ფართო განხილვის, კონსულტაციებისა და კონსენსუსის საფუძველზე. ეს არის ნამდვილად სპეკულაციები. არ ვიცი, რომელი იურისტები საუბრობენ ამაზე. რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა და უფლებამოსილების ვადას, ამას ვერაფერს შეეხება იქამდე, ვიდრე პრეზიდენტის უფლებამოსილების კონსტიტუციით დადგენილი, არსებული ვადა არ დასრულდება. ეს იქნებოდა კონსტიტუციური პრინციპების უხეში დარღვევა. ეს არის შესაბამისად, სპეკულაციები და არ ვიცი, რომელი „კონსტიტუციონალისტები“ საუბრობენ ამაზე“, - განაცხადა კობახიძემ.

მოკვლევის უს მინისტრის პინაობა კვლავ უსნობია

როზმონტ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, უს მინისტრის პოსტზე „ქართული ოცნების“ წევრის მამუკა მდინარაძის დანიშნვაზე კონსულტაციები არ ყოფილა.

კობახიძის თქმით, სამთავრობო ცვლილებებზე კონსულტაციები დაწყებულია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებაზე განცხადების გაკეთება პრემიერ-მინისტრის პრეროგატივაა.



ვიქტორ დოლიძესთან დაკავშირებით მთავრობაში კონსულტაციები მიმდინარეობს

„კონსულტაციები ბევრ თემაზე მიმდინარეობს, მათ შორის ვიქტორ დოლიძესთან დაკავშირებითაც“, - აცხადებს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი დავით კოლუაშვილი. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას და განცხადებას პრემიერ-მინისტრი გააკეთებს.



„მთავრობის ფორმირებაზე განცხადებას მთავრობის თავმჯდომარე გააკეთებს. ეს მისი პრეროგატივაა, არ დაახანებს, ცვლილებებთან დაკავშირებით თვითონ პრემიერ-მინისტრი ისაუბრებს, მათ შორის ვიქტორ დოლიძესთან დაკავშირებითაც. კონსულტაციები ბევრ თემაზე მიმდინარეობს, მათ შორის ვიქტორ დოლიძესთან დაკავშირებითაც, სავარაუდოდ“, - განაცხადა კოლუაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ არსებული ინფორმაციით, ვიქტორ დოლიძემ შესაძლოა, მთავრობაში გადაინაცვლოს და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა დაიკავოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ახალი მოადგილეები ჰყავს

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა თავმჯდომარის მოადგილეებად ლალი ფაფიაშვილი და თემურ ტულუში აირჩია. მერაბ ტურავა კი საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი იქნება. სხდომას ცხრავე მოსამართლე ესწრებოდა.

თბილისი თანამედროვე მედიკალაქითა უორისსა

თბილისის მთავრობისა და პროგრამა „100 მედეგი ქალაქის“ წარმომადგენლებს შორის პირველი შეხვედრა გაიმართა.

პროგრამას „100 მედეგი ქალაქი“ როკ-ფელერის ფონდი 2013 წლიდან ახორციელებს და ბენეფიციარებს 21-ე საუკუნის გამოწვევების დაძლევაში ფინანსურად, 1 მლნ გრანტის ფარგლებში ეხმარება. თბილისი გრანტის მფლობელი 2016 წლის მაისში გახდა.


დედაქალაქის მერიაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ: თბილისის მერი დავით ნარმანიანი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, პროგრამის მენეჯერი ევროპისა და აზიის რეგიონში ლუსი ალვარადო და ასოცირებული დირექტორი ევროპისა და აზიის რეგიონში სამერ ბაგაინი. ასევე, მერიის საქალაქო სამსახურების, საკრებულოს, გარემოს დაცვის სამინისტროსა და „100 მედეგი ქალაქის“ ლონდონის ოფისის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს პროექტის მნიშვნელობაზე. გარდა ამისა, „100 მედეგი ქალაქის“ წარმომადგენლებმა უშუალოდ პროგრამის შესახებ, მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა კი თბილისის მედეგობასა და დედაქალაქში, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, წარმოადგინეს პრეზენტაციები.

პროგრამა „100 მედეგი ქალაქის“ წარმომადგენლები თბილისში 2 დღის განმავლობაში დარჩებიან; მოინახულებენ დედაქალაქში ამ კუთხით არსებულ პრობლემურ უბნებს; შეხვედებიან იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ქალაქის განვითარებისა და დაგეგმარების აქტიურ გამომწვევებზე მუშაობს.

პროგრამა „100 მედეგი ქალაქი“ ითვალისწინებს ქალაქების მდგრადობას სტი-

ქიასთან ბრძოლისა და სირთულეების დროული დაძლევის თვალსაზრისით, მათ შორისაა, უმუშევრობის მაღალი დონე, არაეფექტური სატრანსპორტო სისტემა, ენდემური ძალადობა და ა.შ. პროექტში მონაწილე ქალაქებმა უნდა შეიმუშაონ და დაწერონ საერთო საქალაქო მედეგობის სტრატეგია და მათ პარტნიორებთან ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფინანსური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება მედეგობის გაუმჯობესებისა და სტრატეგიის დანერგვისათვის. თბილისთან ერთად „100 მედეგი ქალაქის“ წევრები არიან: ნიუ-იორკი, ლოს ანჯელესი, ჩიკაგო, ლონდონი, მილანი, ბარსელონა, პარიზი, რიო დე ჟანეირო და სხვ.



მომადგენლები თბილისში 2 დღის განმავლობაში დარჩებიან; მოინახულებენ დედაქალაქში ამ კუთხით არსებულ პრობლემურ უბნებს; შეხვედებიან იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ქალაქის განვითარებისა და დაგეგმარების აქტიურ გამომწვევებზე მუშაობს.

პროგრამა „100 მედეგი ქალაქი“ ითვალისწინებს ქალაქების მდგრადობას სტი-

ქიასთან ბრძოლისა და სირთულეების დროული დაძლევის თვალსაზრისით, მათ შორისაა, უმუშევრობის მაღალი დონე, არაეფექტური სატრანსპორტო სისტემა, ენდემური ძალადობა და ა.შ. პროექტში მონაწილე ქალაქებმა უნდა შეიმუშაონ და დაწერონ საერთო საქალაქო მედეგობის სტრატეგია და მათ პარტნიორებთან ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფინანსური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება მედეგობის გაუმჯობესებისა და სტრატეგიის დანერგვისათვის. თბილისთან ერთად „100 მედეგი ქალაქის“ წევრები არიან: ნიუ-იორკი, ლოს ანჯელესი, ჩიკაგო, ლონდონი, მილანი, ბარსელონა, პარიზი, რიო დე ჟანეირო და სხვ.

საქართველოს ხუთ ქალაქში გამზანა „ვსნავლობთ ქართულად“ დაიწყო. კამპანიის მიზანია ქართული ენის პოპულარიზაცია არაქართველ მოსწავლეებში და ქართული ენის უკეთ გაცნობა იმ უცხოელი მოსწავლეებისთვის, რომლებიც განათლებას საქართველოში იღებენ.

„ვსნავლობთ ქართულად“ პროექტის ფარგლებში თბილისის მასშტაბით დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი და სკოლა ლიცეუმი „სხივია“ ჩართული. სკოლებში ამ ეტაპისთვის ათობით უცხოელი მოსწავლე სწავლობს, რომლებიც სიამოვნებით ეუფლებიან ქართულ ენას, სასკოლო საგნებსაც ქართულ ენაზე სწავლებენ და კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებშიც აქტიურად მონაწილეობენ. სწორედ სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი ქართული ენის ოლიმპიადას, რომელიც ტრადიციულად დედა ენის დღეს გამართება.

„ვსნავლობთ ქართულად“

პროექტში ჩართულ ერთ-ერთ სკოლას მარნეულის „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“ წარმოადგენს, სადაც განათლებას 160-მდე

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლე იღებს. აღნიშნული სკოლა უკვე მრავალი წელია, აქტიურად უწევს პოპულარიზაციას ქართულ ენას არაქართველ მო-



სახელობაში. სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბიც, სადაც სხვადასხვა ასაკის მოსწავლეა ჩართული.

რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმშიც პროექტში ჩართული ერთ-ერთი სკოლაა. რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სკოლაში მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწორედ ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა, რომლებიც განსაკუთრებული სიყვარულითა და მონდომებით ეუფლებიან ქართულ ენას.

კამპანიაში „ვსნავლობთ ქართულად“ 6 სკოლაა ჩართული: მარნეულის „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“, რუსთავის „შოთა რუსთაველის სახელობის კერძო კოლეჯი“, სკოლა-ლიცეუმი „სხივი“, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, ქუთაისის „ნიკო ნიკოლაძის სკოლა-ლიცეუმი“ და ბათუმის „შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“.

ტფილისური სილაგის იტალიელი „კლეოპატრა“

— საპარტიველო-იტალიის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და სასულიერო-კულტურული ურთიერთობების ისტორია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იღებს სათავეს, რის უპირველესი მაგალითია ის, რომ პირველი ქართული ბეჭდური წიგნი სწორედ ამ უმწვენიერესი ქვეყნის დედაქალაქ რომში დასტავდა, — განაცხადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2 ნოემბერს სამეცნიერო კონფერენციის „ჯოვანი სკუდიერი და საპარტიველო“ გახსნაზე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მამრავიამ. — იტალიელებმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს საქართველოში, ქვეყანაში კათოლიკობის გავრცელება, გარკვეულწილად, იქაურ მისიონერთა მოღვაწეობას უკავშირდება. თბილისი ლამაზი ქალაქია, მაგრამ მის სიკონსტრუქციულ და არქიტექტურული მიმზიდველობით გამორჩეულ ძველ ნაგებობებს თუ ჩამოვთვლით, უპირველესად ქარვასლა, დედაქალაქის საკრებულო, ჩუღურეთის დიდი და მცირე (ეგრეთ წოდებული „მშრალი“) ხიდები გაგვასწავნებს, რომელთა სახელები თბილისში მოღვაწე იტალიელ არქიტექტორს ჯოვანი სკუდიერის უკავშირდება და რომლის დაბადებიდან 200 წლისთავს ეძღვნება დღევანდელი კონფერენცია. ჩვენ ყოველივე ამას მაღლიერების გრძნობით ვისწავნებთ და დიდად გვასწავნებს ის გარემოება, რომ საქართველოსა და იტალიას შორის დღესაც მრავალმხრივი ნაყოფიერი კავშირებია, — დასძინა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა.



კონფერენციის პრეზიდენტი

არქიტექტორია, რომლის შემოქმედებამ დიდი ხნობილი შესძინა დედაქალაქის იერ-სახეს. არქიტექტურული განათლება მან ოდესაში, თავის ბიძასთან, არქიტექტორ ჯორდანო ტორინელისთან მიიღო და ერთხანს მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა. ოდესაში დღესდღეობითაც შემორჩენილია მისი პროექტებით აგებული რამდენიმე შემოსავლიანი სახლი, მეტად საგულისხმო მთელი რიგი საინჟინრო ნაგებობის მისეული განუხორციელებელი პროექტი. აღიარებულია, რომ ჯ. სკუდიერი იმდენად დიდი ღვაწლი შეიტანა ოდესის არქიტექტურის განვითარებაში, რომ მას იქ დღეს ქალაქის ყველაზე ცნობილი არქიტექტორთა შორის მოიხსენიებენ.



იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სპარტიველოში ანტონიო ენრიკო პარტოლი

1845 წლის სექტემბერში მან ტფილისში მეფის ნაცვალ მიხეილ ვორონცოვის სახელზე წერილი გამოგზავნა, რომელშიც ამიერკავკასიაში მსახურების სურვილს გამოთქვამდა: „რამდენად სასიამოვნოც არ უნდა იყოს ჩემთვის ეს ყველაფერი (იგულისხმება მისი ოდესაში მოღვაწეობა — რედ.), მე მაინც მგზნებარედ მსურს, რომ მქონდეს რამდენადმე უფრო ფართო ასპარეზი, რათა წარმოვაჩინო ჩემი მონდომება და შესაძლებლობები“. და შემდეგ: „ჩემი საქალაქო (ტფილისის — რედ.) არქიტექტორის თანამდებობაზე სამსახურის დროს და 1847 წელს საკარანტინო-საბაჟო განყოფილებაში გადასვლისას... მე მომეცა შემდეგი მნიშვნელოვანი დავალებები, ჩემი უშუალო მოვალეობის იქითა და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. კერძოდ: 1) 1846 წელს თეატრის პროექტი. 2) აგრეთვე 1846 წელს ქვის ხიდის (ყოფილი ვორონცოვის, ამჟამად ჩუღურეთის დიდი და მცირე (ე.წ. „მშრალი“) ხიდები — რედ.) ნაგებობისა. 3) მ. ვორონცოვის დავალებით შედგენილია და დამტკიცებულია პროექტები შენობის რეკონსტრუქციის: სახანო აფთაქისა და საავადმყოფოსი. 4) მ. ვორონცოვის ბრძანებით შედგენილია ქ. ტფილისში საკორპუსო ტაძრის პროექტი... 1848 წლის 27 ივლისი“.

აღნიშნულ და სხვა პროექტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობა მე-19 საუკუნის შუა ხანების თბილისში 1847-51 წლებში მთელ კავკასიაში პირველი სპეციალური სათეატრო ნაგებობა იყო მასინდელ ერინის (ამჟამად თავისუფლების — რედ.) მოედანზე, რომელშიც ჩართული იყო საგაქრო სათავსოები, რის გამოც მას ხშირად „დუქნებან თეატრალურ შენობას“ უწოდებდნენ. სამწუხაროდ, 1874 წლის ოქტომბერში თეატრის შენობა ერთიანად

დაინვა. 1879 წელს შენობა აღადგინეს, მაგრამ უკვე თეატრის გარეშე, როგორც პასაჟის ტიპის მნიშვნელობის საგაქრო შენობა (მეტრო თავისუფლების მოედნის მიმდებარედ, სადაც ამჟამად დიდი მშენებლობაა — რედ.). ჯოვანი სკუდიერის შემოქმედებაზე კიდევ მრავალი საგულისხმო ამბის მოყოლა და ბევრი განხორციელებული პროექტის გახსენება შეიძლება. მათ შორისაა, ოთხიდან დღემდე შემორჩენილი ორი გრიფონი, რომლებიც თავის დროზე თეატრის წინ იდგნენ და ახლა დედაქალაქის საკრებულოს წინ დგანან „საპატიო ყარაულში“, საქალაქო პოლიციის შენობის წინ მონყობილი შადრევანი აუზით, ზემოსხენეული მიხეილის (ამჟამად ჩუღურეთისა და „მშრალი“) ხიდი, რომელიც მტკვარზე გადებული პირველი ქვის ხიდი იყო. ასევე კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზი, ორი გადაკეთებული მეჩეთი, ქარვასლა მეტეხის ხიდთან, ქალაქის საავადმყოფო და სახანო-ნო აფთაქი ამჟამინდელი უზნაძის ქუჩის ბოლოში, საკორპუსო ტაძარი ალექსანდრეს მოედანზე (დღევანდელი ა. სობჩაკის სახელობის ქუჩის მახლობლად) და მრავალი სხვა.

ჯოვანი სკუდიერი ტფილისში ხუთ წელზე ოდნავ მეტხანს იცხოვრა, რა დროსაც მხარეში ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობის გეგმისა და ნახაზის შესრულებას მას ანდობდნენ. 1846 წლის 23 ნოემბრის ნომერში გაზეთი „კავკაზი“ სტატიაში „ტფილისი ახლანდელ დროში“, კერძოდ, წერდა: „ახლა კი უპირატესობა ენიჭება სუფთა იტალიურ სტილს, რომლის (ანუ ჯ. სკუდიერის — რედ.) ახალი შენობის პროექტები მალე აქცევენ ჩვენს ქალაქს ღირსშესანიშნავ ქალაქად იტალიური სტილის მოხდენილი ნაგებობებით“. ამდენად, კარგად ჩანს, რომ თანამედროვენი თვალნათლივ ხედავდნენ, რომ არქიტექტურაში ახალი ტენდენციების გაჩენა უშუალოდ სკუდიერის სახელს უკავშირდება, რომელიც ერთ-ერთია იმათ შორის, ვინც 1845 წლიდან მოყოლებული „ქართველთა მეფეების ძველი დედაქალაქი... ევროპული ქალაქების დონეზე“ დააყენა, როგორც ამას 1853 წლის 6 ივნისს გაზეთი „კავკაზი“ აღნიშნავდა.

ჯოვანი სკუდიერი სულ ახალგაზრდა, 35 წლის ასაკში გარდაიცვალა და იგი ტფილისში, კათოლიკეთა ამჟამად არარსებულ სასაფლაოზე დაკრძალეს. ბუნებრივია, რომ ჯოვანი სკუდიერის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა ამით არ ამოწურულა. მისი მონაწილეები გაეცნენ ქართველ მკვლევართა უადრესად საგულისხმო მოხსენებებს, კერძოდ, გიორგი ლორთქიფანიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „მეფისნაცვლობის შემოღება და ცვლილებები რესტორის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში“, თამაზ ყოლოგუას მოხსენების თემა იყო „დიმიტრი ყიფიანის „ეროვნული ხსნის კონცეფციისა“ და მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ ურთიერთმიმართებისათვის“, მანანა ახმეტელის — „იტალიური საოპერო დანსა და თბილისის მუსიკალური ცხოვრება“, ლევან თაქთაქიშვილის — „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის სათავეებთან“, ელდარ ნადირაძის — „ჩაცმულობის კულტურა XIX საუკუნის თბილისში“, მია ციციშვილის — „XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული მხატვრობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“, თამარ ბელაშვილის — „XIX საუკუნის თბილისი და სანახაობა“, ანა მგალიშვილის — „ნეობიზანტიური სტილი საეკლესიო ხელოვნებაში და საქართველო“ და გიორგი პაპუაშვილის — „ფოტოგრაფიის ადრეული ეტაპი საქართველოში“.

ოთარ ტურაბაიძე.

სალის სპარტიველოში
აი, ვინ უნდა აპოინდინოს ქართული ოსნება



გიორგი ბაგაქია №30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. რუსთავი



გურამ მაჭარაშვილი №26 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ლაგოდეხი



თამაზ ნახვიანი №36 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. მარნეული



ლევან ხუვაჩია №37 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. მცხეთა

კონფერენციაში სიტყვით გამოვიდა საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანტონიო ენრიკო პარტოლი, რომელმაც ხაზი გაუსვა არქიტექტურის მნიშვნელობას ერის სულისა და ყოფის თავისებურებათა წარმოჩენაში, ზოგადად მიმოიხილა იტალიური არქიტექტურის ისტორიის ზოგიერთი ასპექტი, აღნიშნა მის განვითარებაში გამოჩენილი წარმომადგენელთა ღვაწლი, მათი წვლილი მსოფლიო კულტურის საგანგებო, გაიხსენა ის შემოქმედებითი მარგალიტები, რომლებიც დღესდღეობითაც ამშვენებს თბილისს და რომლებიც ასე ხატოვნად აღწერა თავის წიგნში „კავკასია“ ალექსანდრე დიუმამ. თავის გამოსვლაში ბატონმა ელჩმა ასევე ილაპარაკა კულტურის, კერძოდ, არქიტექტურისა და სარესტავრაციო სფეროებში, საბიბლიოთეკო ურთიერთობებში სამომავლო გეგმებზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ამ უდიდეს საქმეში ინოვაციების დანერგვის აუცილებლობაზე.

შემდეგ დამსწრეთ მოკლე სიტყვით მიმართა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა, რომელმაც შეკრებილთა სახელით სამძიმარი გამოთქვა იტალიაში მომხდარი მინისტრის შედეგად დაღუპულ ადამიანთა მიმართ. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ თბილისს „არ უჭირდა საერო თუ სასულიერო არქიტექტურა, ჯოვანი სკუდიერიმ შეძლო არა მარტო დედაქალაქის, არამედ სრულიად კავკასიური „სილამაზის აღმოჩენის“ დიდებული მისიის შესრულება“.

კონფერენციაზე ვრცელი მოხსენებით „ჯოვანი სკუდიერის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გამოვიდა პროფესორი თამაზ გერსამია.

წარმოშობით იტალიელი ჯოვანი სკუდიერი მე-19 საუკუნის თბილისის გამორჩეული



თამაზ გერსამია

საღმის სმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება



ირაკლი გეგვინიანი №39 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. პასაჟი



იოსებ ბაკასიძე №41 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. გორი.



თინათ სეგულარი №42 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. გორი



გიორგი გოგოლაძე პარტია „თოფაძე – მრეწველები“ №43 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ხაშური.

1 ნოემბრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიარაღებულ ძალებში გაიწვია მოქალაქეები საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გასაწველად. სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში ოთხნობიანი კონტრაქტით მიიღებენ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც არ გაუვლიათ სამხედრო სავალდებულო სამსახური, იმყოფებიან წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და არ შესრულებიან 27 წელი. ასევე რეზერვში მყოფი რიგითები, კაპრალები და სერჟანტები, რომელთა ასაკი არ აღემატება 35 წელს. თავდაცვის ყოფილი მინისტრის თინათინ ხიდაშელის 2016 წლის 27 ივლისის ბრძანებით, თავდაცვის სამინისტრო აღარ ახორციელებს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში განწვევას, თუმცა, შესაძლოა, სულ მალე თავდაცვის მოქმედმა მინისტრმა კვლავ აღადგინოს სტატუსი კვ.

იმისთვის, რომ გახდეს რეკრუტი, მოქალაქე აბარებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტს; ასევე გადის სამხედრო სამედიცინო კომისიას. რეკრუტი ირიცხება საწყისი საბრძოლო მომზადების ათვიანი კურსზე...

„სამხედრო მოსამსახურეები ოთხი წლის განმავლობაში მალაღ ანაზღაურებას მიიღებენ. სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში მყოფი პირის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა იზრდება წოდების, თანამდებობისა და სამხედრო სტაჟის გათვალისწინებით. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან თანამედროვე აღჭურვილობით, მაღალი დონის უფასო სამედიცინო მომსახურებით, ასევე მათი და მათი ოჯახების სოციალური და სამართლებრივი დაცვით. მაღალი ანაზღაურების გარდა, საკონტრაქტო სამხედრო სამსახური კარიერული ზრდის საშუალებასაც იძლევა. სამხედრო მოსამსახურეს ასევე შეუძლია პროფესიული მომზადების დონე უცხოელი და ქართველი ინსტრუქტორების დახმარებით აიმაღლოს, აითვისოს უცხო ენა და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ოპერაციებში. იმისთვის, რომ გახდეს

მთავარი პრიორიტეტია ქვეყნის თავდაცვა!

ჯარში მხოლოდ რეკრუტებს უხმობენ



რეკრუტი, მოქალაქე აბარებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტს; ასევე გადის სამხედრო სამედიცინო კომისიას. რეკრუტი ირიცხება საწყისი საბრძოლო მომზადების ათვიანი კურსზე.

სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორის ირაკლი ალადაშვილის თქმით, საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში განწვევა საშურია თუნდაც იმის გამო, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს კადრების დეფიციტი აქვს.

„ჩვენდა სამწუხაროდ, დეფიციტი დიდია. არ მაქვს უფლება და ვერც ვიტყვი, თუ რამდენი პროცენტითაა დაკომპლექტებული საქართველოს შეიარაღებული ძალები. როცა პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხოვნება უნდა იყოს 37 ათასი, ეს ნიშნავს ზედა ზღვარს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამდენია საქართველოს შეიარაღებული ძალები. სამწუხაროდ, არის დეფიციტი დაკომპლექტებაში და ეს დეფიციტი აქვს თითოეულ ქვეით ბრიგადას, რაც, ცხადია, დიდი პრობლემაა“, – უთხრა ირაკლი ალადაშვილმა რადიო „თავისუფლებას“.

დაამიმაბა თუ არა ეს პრობლემა ყოფილი მინისტრის გადაწყვეტილებამ, შეიარაღებულ სამხედრო-სამზადებულ სამსახურში განწვევა? – თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ კითხვას პასუხი გააძევა ერთ კვირაში, როცა სამინისტრო მიიღებს ახალ სტრატეგიას. თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია არ მალავს, რომ სწავლულნი არიან მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისთვის. ასევე განვიხილავთ სამომავლო გეგმებს.

„შევისწავლეთ, პრაქტიკულად, ყველა ქვეყნის გამოცდილება და, ბუნებრივია, მე როგორც მინისტრს, ჩამომიყალიბდა ჩემი პოზიცია. ახლო მომავალში გვეგეგმება ამ პოზიციით წარვსდგეთ ექსპერტებთან, მესამე სექტორთან, რათა იყოს ფართო სპექტრი წარმოდგენილი დისკუსიებში. ამის შემდეგ გვეგეგმება ჩვენი მუშაობის 100 დღის შეჯამებას, ანგარიშის ჩაბარებას საზოგადოებისთვის. ასევე განვიხილავთ სამომავლო გეგმებს.“

სამხედრო ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკონტრაქტო სამხედრო სამსახური ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე საყოველთაო სავალდებულო განწვევა. ირაკლი ალა-

დაშვილის თქმით, არასწორი იქნება დასკვნის გაკეთება მხოლოდ რეკრუტისა და საყოველთაო განწვევით მობილიზებული ჯარისკაცის შენახვაზე განწვეული ხარჯების შედარებით: პირველის ხელფასი სულ ცოტა 800-1000 ლარია, მეორისა კი 10 ლარი, რომელსაც ემატება კვების თანხა თვეში, დაახლოებით, 70 ლარი, მაგრამ ანგარიშგასანევი ისიც, რომ საყოველთაო განწვევით მობილიზებული ჯარისკაცი ერთ წელიწადში თავისუფლდება, ხოლო რეკრუტის განწვევა ხდება ოთხი წლით.

„ამ ადამიანს ოთხი წლით ქირაობენ, ანუ ოთხჯერ არ მოუწევს ამ ოთხი წლის განმავლობაში ახალი ჯარისკაცის განწვევა, მისი განვრთვა და ა.შ. ის, რომ თავდაცვა აღარ იწვევს წვევამდებებს, ერთი მხრივ, ეს შეიძლება გაუსარდადო ბრიგადის მეთაურებს, რადგანაც, დაცვილი მისი დაცვის თვალსაზრისით, ბევრად მეტი საშუალებაა რეკრუტზე შემოქმედების მოსაზრება. ხელფასს დაუკავებ და სხვა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი პრობლემა: საყარაულო სამსახური არავის გაუუქმებია! მივიღეთ ის, რომ ყარაულში ვაყენებთ არა 5-10 ლარის ხელფასის მქონე ჯარისკაცს, არამედ 1000-ლარიანი კონტრაქტის მოსამსახურეს, რაც არასწორია. მან მთელი ეს დრო უნდა მოახმაროს ველზე მომზადებას, რათა მისი პროფესიონალიზმი ამაღლდეს და არა იმას, რომ ყარაულში იდგეს ავტომატით“, – უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ირაკლი ალადაშვილმა, რომლის თქმითაც, საქართველოს ჯარში უნდა მსახურობდნენ როგორც რეკრუტები, ასევე სავალდებულო განწვევით მობილიზებული ჯარისკაცები.

დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველოს მოქალაქეებს სავალდებულო სამსახურში იწვევს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულების სამინისტრო და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. თავდაცვის სფეროს სპეციალისტები არ გამოირიცხებენ, რომ მალე ეს ჩამონათვალი თავდაცვის სამინისტროში შეიქმნება.

გიორგი რეხვიაშვილი

„საპარტიო მუშაობაში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები გამოქვეყნდა: ყველა მაჟორიტარულ ოლქში ბიძინა ივანიშვილის მიერ დარსებული მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს და მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალის“ კონკურენტები დაამარცხეს. ამრიგად, „ქართულმა ოცნებამ“ საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, რაც მას ქვეყნის ძირითადი კანონის შეცვლის შესაძლებლობას აძლევს...“

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

პუბლიკაციაში ვრცელდება საუბარი არჩევნების შედეგების რაოდენობრივ-პროცენტულ მაჩვენებლებზე, პარტიების მდგომარეობაზე (განსაკუთრებით „ნაციონალის“ მიმდინარე პროცესებზე, მიხეილ სააკაშვილის ფაქტორისა და მისი განცხადებების ფონზე: „უკრაინის ოდესის ოლქის ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილმა იგრძნო, რომ მეორე ტურში „ნაციონალის“ დამარცხდებოდნენ და პარტიას არჩევნებისა და საერთოდ, ახალ პარლამენტში საქმიანობის ბოიკოტისაკენ მოუწოდა, ექს-პრეზიდენტის მოწოდებას კი მხარი მხოლოდ საკუთარ-

„კომერსანტი“ მილიარდების პარტია საპარლამენტო ორგანოში ადგილებს 75% მიიღო, სააკაშვილის მოწოდებას კი მხარი მხოლოდ მისა ცოლმა დაუჭირა

მა ცოლმა დაუჭირა. „ნაციონალის“ დამარცხდნენ, თუმცა, მიხეილ სააკაშვილის თქმით, „ნაადრევია თავზე ნაცრის წყარა“, აქტიური ბრძოლა უნდა გაგრძელდეს.“

სტატიაში გადმოცემულია ქართველი მმართველი და ოპოზიციური პოლიტიკოსების, აგრეთვე პოლიტოლოგების თვალსაზრისები – ნიშნავს თუ არა საკონსტიტუციო უმრავლესობა ხელისუფლებას და ავტორიტარიზმს? „ნაციონალი“ დავით დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ თავისი მიზნებით (კონსტიტუციის სავარაუდო შეცვლით, რომელიც პრეზიდენტის



არჩევნის წესს ეხება) დემოკრატიის ბოლო ინსტიტუტს ანადგურებს და ქვეყანაში ავტორიტარულ ხელისუფლებას ამყარებს. გარდა ამისა, იგი „კომერსანტის“ კორესპონდენტს ეუბნება, რომ „ოცნება“ ისარგებლებს საკონსტიტუციო უმრავლესობის ფაქტორით და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლასაც შეეცდება რუსეთის მიმართულებით. თავის მხრივ, მმართველი ძალის წარმომადგენელი კახა კალაძე პირიქით აცხადებს – დემოკრატიული რეფორმები და ევრო-

ატლანტიკური კურსი გაგრძელდება.

როგორი ბედი ექნება მიხეილ სააკაშვილს?

დღემდე ექს-პრეზიდენტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ რჩება, მაგრამ ქართულ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, იგი პარტიიდან გამოსვლას ამირებს, პროტესტის ნიშნად, რადგან თანაპარტიელები მას აღარ უსმენენ და არ ეთანხმებიან. „შესაძლოა მიხეილ სააკაშვილმა ახალი პარტია ჩამოაყალიბოს“, – ასეთი აზრიც არსებობს.

საერთოდ კი, ექს-პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები დარწმუნებული არიან: თუ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ოდესმე დაბრუნდება, იგი მხოლოდ პატიმრის სტატუსით იქნება: „მას საპრობლემა ელოდება ჩადენილი დანაშაულებების გამო, – ამბობს პოლიტოლოგი პეტრე მამრავაძე, – პირველ რიგში, 2008 წლის აგვისტოში ჩადენილი სამხედრო-პოლიტიკური დანაშაულისათვის.“



გიორგი სულაქაძე

ეკუთვნოდა აღნიშნული ქონება და ვისგანაც პატიოსანმა ბიზნესმენმა ჩხარტიშვილმა ხელში ჩაიგდო.



ნათია გუვახაძე

მს ამბავი საქართველოს ანგონსა და მომავალს, საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ქვეყნის უკლებლივ ყველა მოქალაქეს მომაკვდინებელ საფრთხეს რომ არ უქმნიდეს, კიდევ ერთხელ მისი შეხსენებით თავს ნამდვილად არ შეგანწყენდით.

სანამ სიკვდილის აქლემი თქვენს კართან ჩაიშურებოდეს...

ქონება მას უნდა დაუბრუნდეს. მოკლედ, ერთ მხარეს არის ფაქტებითა და დოკუმენტებით გამყარებული სიმართლე („აგრიკომმა“ ქონება შეიძინა უშუალოდ „თიბისი ბანკისგან“), მეორე მხარეს – ჩხარტიშვილის ბოდიშით იდეა მის წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალისტური შეთქმულების თაობაზე. სხვათა შორის, მოსამართლე სულაკაძის გადაწყვეტილებაშიც ასეა ჩანერილი: „ზემოთ წარმოდგენილი მონშეთა ჩვენებები და დაკითხვის ოქმები, მათი შინაარსიდან გამომდინარე და ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ი. ჩხარტიშვილის წინააღმდეგ ს. ფოთის ნისქვილქარხნის“ ხელში ჩაგდებას მიზნით ორკესტრირებული და მოქმედებდნენ მოპასუხეები, განსაკუთრებით კი სს „თი-

ბისი ბანკი“, შპს „აგრიკომი“ და შპს „ტრანსფორდი“ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად“. აქ მოხსენიებული „ინგლისის სასამართლო გადაწყვეტილება“ ეხება ჩხარტიშვილის ცხოვრების უფლებას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და სადავო საკითხთან საერთო არაფერი აქვს. ანუ ეს გახლავთ პროვინციული სპეკულაციის ნათელი მაგალითი.

დისიერი მყიდველი და ამ სასამართლო დავაში მისი ჩათრევა, უბრალოდ, სამართლებრივი ნონსენსია. შარშან 21 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე განიხილებოდა ჩხარტიშვილის სარჩელი სასამართლოს მიერ მისთვის სადავო ქონების მიკუთვნების შესახებ უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების თაობაზე. მოულოდნელად, მოსარჩელე მხარემ სასამართლო სხდომაზე მოპასუხეებისთვის აუნაზღაურებელი მოგების გადახდევინების მოთხოვნა დააყენა. თავის მოთხოვნას მტკიცებულებაც დაურთო – ორგანიზაცია „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივა“ (სიპი) ანალიტიკოსების „ექსპერტული კვლევა“, რომლის თანახმადაც, თურმე, 2010 წლის დეკემბრიდან 2014 წლის ოქტომბრამდე დევნილ ვანო ჩხარტიშვილს მხოლოდ სამი წლის განმავლობაში (პირველი წელიწადი წამებოდა იქნებოდა), მხოლოდ „ფოთის ხორბლის ტერმინალი“ და „ფოთის სამაცივრე მეურნეობიდან“ სულთა მოგების სახით 32 მილიონი დოლარი დაუკარგავს (მერე რა, რომ არც ხორბლის ტერმინალი და არც სამაცივრე მეურნეობა ბატონ ვანოს არასოდეს ჰქონია!) და ეს დანაკარგი, თურმე, მოპასუხე მხარემ უნდა აუნაზღაუროს!

სალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება



გიორგი კოვაძე №44 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ახალციხე



გენადი მარხველაშვილი №47 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ძუთაისი.



ლევან გუვახაძე №48 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ძუთაისი



კობა ნარჩევაშვილი №49 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ძუთაისი.

უშედეგოდ-მეთქი, ვთქვი, მაგრამ მთლად ასე არ არის – პირველი ინსტანციის სასამართლომ გიორგი სულაკაძის თავმჯდომარეობით იგი უკვე მიაკუთვნა ვანო ჩხარტიშვილს. რჩება სრული შთაბეჭდილება, რომ სააპელაციო სასამართლოც (თავმჯდომარე ნათია გუვახაძე) სულაკაძის გატყეპნილი ბილიკით სიარულს, ანუ ჩხარტიშვილის მითითებების უსიტყვოდ შესრულებას აპირებს.

საქმის შინაარსი, ძალიან მოკლედ, ასეთია: 2010 წლის მინურულს შპს „აგრიკომმა“ უშუალოდ „თიბისი ბანკისგან“ შეიძინა „ფოთის ნისქვილქარხნის“ რომელიც მანამდე (2008 წლიდან) ვანო ჩხარტიშვილს ეკუთვნოდა. უფრო ზუსტად, ეკუთვნოდა ბადრი პატარკაციშვილს, მაგრამ მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, ისევე, როგორც მისი ბევრი სხვა ქონება, ისიც ვანო ჩხარტიშვილის ხელთ აღმოჩნდა.

საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უმნიშვნელო რეჟიტაციის მქონე ბატონ ვანოს გაპარტახებულ-გავერანებული ნისქვილქარხნის აღდგენასა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაზე არც უფიქრია – სოლიდური კრედიტის სანაცვლოდ „თიბისი ბანკში“ ჩადო. მერე, როგორც უმნიშვნელო რეჟიტაციის მქონე ბიზნესმენს შეეფერება, მიღებული კრედიტის პროცენტები პრინციპულად არ გადაიხადა და 2010 წლის ნოემბერში ბანკი იძულებული გახდა, ეს ქონება აუქციონზე გაეყიდა. ყიდვის მსურველი ერთადერთი იყო, შპს „აგრიკომი“. ბანკმა გამოიყენა კანონიერი მოთხოვნის უფლება, თვითონ დაეუფლა იპოთეკით დატვირთულ ქონებას და იგი მოგვიანებით „აგრიკომს“ მიჰყიდა.

ალბათ ისიც უნდა გავიმეორრო, რომ კონსტანტინე (კოკი) ოსიპოვის ფირმამ ამავე დროს სოლიდური კომპენსაცია გადაუხადა პატარკაციშვილის ოჯახსაც, ვისაც თავის დროზე

ლუბრყვილობისა და ქართულ სამართლებრივ სივრცეში განვითარებული პოზიტიური ცვლილებების გამო, დარწმუნებული ვიყავი, რომ სააპელაციო სასამართლო სულაკაძის გზით აღარ წავიდოდა და ამ არცთუ რთულ საქმეს სწრაფად და ობიექტური გადაწყვეტილებით დაასრულებდა. ასე არ მოხდა. მოსამართლე ნათია გუვახაძე მოდავე მხარეებს ისევე ისე, ძველებურად მოლაპარაკებისკენ მოუწოდებს. თუმცა იცის, რომ მათ შორის მოლაპარაკების საგანი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. იმ ძალიან უბრალო მიზეზის გამო, რომ „აგრიკომმა“ სადავოდ გამხდარი ქონება თავის დროზე შეიძინა არა აუქციონზე და არა ჩხარტიშვილისგან, არამედ შეიძინა უშუალოდ ბანკისგან. იგი არის კეთილსინ-

სულხან მოლაშვილის ოჯახს აგარაკი დაუბრუნდა

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, სულხან მოლაშვილის ოჯახს სოფელ წავისში მდებარე უკანონოდ ჩამორთმეული აგარაკი დაუბრუნდა.

ფაქტზე დააკავა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელსაც ალკეეთის ლონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. 2004 წლის ივლისში სულხან მოლაშვილის ძმას თორნიკე მოლაშვილს დაუკავშირდნენ პროკურატურიდან და სულხან მოლაშვილის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის არასაპატიმრო სასჯელით შეცვლის სანაცვლოდ, მოსთხოვეს წავისში მდებარე ერთ-ერთი აგარაკის შექმნა და შემდგომში სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა.



უნწყების ინფორმაციით, სულხან მოლაშვილის ოჯახის წევრებმა ბანკიდან აიღეს სესხი და შეთანხმებისამებრ 140 000 ლარად შეიძინეს წავისში მდებარე აგარაკი, რომელიც იმავე დღეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცეს.

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აკვირდინოს ქართული ოცნება



გიორგი კუმბახვარი №51 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. გალდათი.



გიორგი კუმბახვარი №52 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ზესტაფონი.



გიორგი კუმბახვარი №56 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. შიბაბურა.



გიორგი კუმბახვარი №60 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ლანჩხუთი.

ენერგოკაზარი


ენერგოკაზარში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის ენერგეტიკულმა სექტორმა მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის წინათ ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქ სარაევოში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოვიჩიჩმა ხელი მოაწერა ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების ოქმს. აღნიშნული დოკუმენტი ევროკავშირის მთელ რიგ დირექტივასა და რეგულაციას მოიცავს, რომელთა შესრულება 2020 წლამდე ვადაში საქართველოსთვის სავალდებულო იქნება.

უნდა ითქვას, რომ დარგში ევროკავშირის რამდენიმე დირექტივა ენერგეტიკული ბაზრების მოდერნიზებას ეხება. კერძოდ, ცნობილია, რომ ელექტროენერჯის ბაზარი, ასე ვთქვათ, სამკომპონენტოა: გენერაცია-გადაცემა-დისტრიბუცია. პირველი მათგანი გულისხმობს ელექტროენერჯის გამომუშავებას, მეორე - მისი მაღალი ძაბვის ხაზებით გადაცემას, მესამე კი მის მომხმარებელთათვის მიწოდებას. ელექტროენერჯის სხვადასხვა სახის პიდრო, თბო, ქარის ელექტროსადგურის ანარმობებს, საჭიროების შემთხვევაში მისი იმპორტირებაც ხდება. მაღალი ძაბვის გადაცემის ხაზების განმკარგველი სს „სახელმწიფო ელექტროსისტემა“, ხოლო დისტრიბუციას ენერგეტიკის სამამულო ბაზარზე რამდენიმე კომპანია, მათ შორის, სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ და სს „კახეთის ენერგო-დისტრიბუცია“ განახორციელებს. ამ სამ დისტრიბუტორ კომპანიას შორის „თელასი“ და „კახეთის ენერგო-დისტრიბუცია“ მხოლოდ სადისტრიბუციო ხაზებსა და ქვესადგურებს ფლობენ, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კუთვნილებაში კი ასევე რამდენიმე ელექტროგადამცემი ხაზიცაა.

ევროკავშირის დირექტივებს საქართველოს ელექტროენერ-

ენერგოკავშირის კორიფონტები

გის შიდა ბაზრისთვის ის მნიშვნელოვანი აქვს, რომ დღესდღეობით ის, არსებითად, დახურულ სისტემას წარმოადგენს. პირდაპირ მომხმარებელთა რიცხოვნობა ყოველწლიურად იკლებს, რის მთავრი მიზეზი ელექტროენერჯის მიწოდების არჩევანის უალტერნატივობაა. ამდენად მისი შედარებით იაფად მიღება შეუძლებელია.



აღსანიშნავია ისიც, რომ სამამულო ელექტროენერჯეტიკის სექტორი ვერტიკალურად ინტეგრირებულ მონოპოლიზებულ ბაზარს წარმოადგენს, რომლის სტრუქტურა 2017 წელს უნდა შეიცვალოს, რის შედეგად მომხმარებელს არჩევანის შესაძლებლობა გაუჩნდება.

საქართველოს კანონმდებლობა ელექტროენერჯის ბაზრის სადღესო მდგომარეობას, მარამ ევროკავშირთან ენერგეტიკული თანამშრომლობის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთებით ნაკისრი ვალდე-

ბულებით, იგი უნდა შეიცვალოს, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი კომპანიის მიერ გადაცემა და სადისტრიბუციო ხაზების ერთდროულად ფლობა დაუშვებელია. გარდა ამისა, ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის პრინციპებთან შეუსაბამოა ასევე ის გარემოებაც, რომ „თელასი“ და „ენერგო-პრო ჯორჯია“, სადისტრიბუციო

ხაზებისა და ქვესადგურების ფლობასთან ერთად ასევე გენერაციის ობიექტების მეპატრონეებიც არიან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდგომ, განისაზღვრება კომპანიების მოღვაწეობის საზღვრები და მათი საქმიანობის არეალი მკვეთრად გაიმიჯნება. რაც შეეხება მეორე უმნიშვნელოვანეს ენერგოკავშირებს - ბუნებრივ გაზს, ევროკავშირის დირექტივა მომხმარებლისთვის მისი მიწოდების, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მარაგების შექმნის სისტემებისთვის

ასევე ერთიან წესებს ადგენს. მათი საბოლოო მიზანი კი ევროკავშირის ერთიან შიდა ბაზარზე კონკურენტული გარემოს შესაქმნელად მეტი ხელშეწყობა, ასევე ენერგეტიკული კავშირების გამყარება, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და ერთგვაროვანი ტარიფების დადგენა რეალურად ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ბუნებრივი გაზის მიწოდების ერთიან ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად ევროკავშირის დირექტივები წარმოებობს და მიწოდების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ასევე იმპორტის სამეურნეო მოღვაწეობის უეჭველ განცალკევებას გულისხმობს, რაც დისკრიმინაციის ოდნავ გამოვლინებას გამოიწვევს.

ჩვენ ენერგოინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპზე ვიმყოფებით, - აღნიშნა სარაევოში გამართულ მინისტრიალზე ევროკავშირთან საქართველოს ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოვიჩიჩმა. - 2020 წლისთვის ეტაპობრივად შესასრულებელია დიდი მოცულობის სამუშაო, რომლის საბოლოო მიზანია საქართველოსა და ევროკავშირის ბაზრების გაერთიანება ისე, რომ არც ერთ მათგანს საფრთხე არ შეექმნას.

გაისად საქართველო ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონის მიღებას გეგმავს, რაც, სამწუხაროდ, დიდი ხნის დაგვიანებით ხდება, ენერგოეფექტიანობა კი ევროპული ენერგოპოლიტიკის და პრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი ტრენდია. ამიტომაც აუცილებელია ამ სფეროში საქართველოსა და ევროპული კანონმდებლობების ერთიანად ჰარმონიზება, - დასძინა მინისტრმა.

დალი ხუნდაძე

რა და რისთვის იხარჯება?

საბიუჯეტო ხარჯების პრიორიტეტები 2016 წელს

საბიუჯეტო ხარჯების ახლა 2017 წლის ბიუჯეტის საბოლოო პარამეტრებს აზუსტებს. თუმცა, სანამ ახალი ბიუჯეტი საბოლოოდ დამტკიცდება, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს 2016 წლის ბიუჯეტის ანალიზი. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა მოამზადა ექვსი თვის შედეგები, რომელთაგან შემდეგ ტენდენციებს ვთვლით ყურადღებას:

ექვსი თვის დაზუსტებული შედეგებით, სახელმწიფო ხარჯების უდიდესი ნაწილი იყო სოციალური უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ხარჯები - 37.4%, შრომის ანაზღაურებაზე განკუთვნილი ხარჯები მთლიანი მოცულობის 17.7%-ს შეადგენდა, ხოლო საქონელსა და მომსახურებაზე - 12.6%-ს. აღსანიშნავია, რომ, ხარჯების უმეტესი ნაწილისგან განსხვავებით, სოციალური უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ხარჯები, თითქმის ყველა კატეგორიის შემთხვევაში, დაგეგმილის 100%-ს შეადგენდა, გარდა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის კატეგორიებისა, სადა შესრულების მაჩვენებელი მხოლოდ 94.6% იყო. აღსანიშნავია, რომ სოციალური უზრუნველყოფაზე განკუთვნილი ხარჯები მნიშვნელოვნად (12.1%-ით) გაიზარდა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

შრომის ანაზღაურების კუთხით აღინიშნება ზრდა, როგორც პროცენტულ, ისე აბსოლუტურ მაჩვენებლებში. თუკი 2015 წლის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების წლიური მაჩვენებელი 1 მილიარდ 376 მილიონი ლარი იყო, 2016 წლის ბიუჯეტში ეს მაჩვენებელი 4.8%-ით გაიზარდა და 1 მილიარდ 443 მილიონი ლარი შეადგინა. შარშანდელთან შედარებით, გაიზარდა, აგრეთვე, შრომის ანაზღაურებაზე განკუთვნილი ხარჯები - წლის პირველ ნახევარში 6%-ით, 669.8 მილიონი ლარიდან 710 მილიონ ლარამდე, რაც 6 თვის გეგმის 97.9%-ია.

საშემოსავლო გადასახადების შესრულების შემცირების ფონზე, ეს ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს შრომის ანაზღაურების ხარჯების მნიშვნელოვან კლებაზე კერძო სექტორში და ამ ფონზე სახელმწიფო სექტორში სახელფასო ხარჯების დისპროპორციულ ზრდაზე



(რაც შეიძლება აიხსნას დასაქმებულთა რაოდენობის, ხელფასების, პრემიების ან დანამატების ზრდით). ნაკლებად საყარაუდოა, რომ შრომის ანაზღაურების ხარჯების ამგვარი მატება უკავშირდებოდეს ბიუჯეტიდან პროგრამულად დაფინანსებულ ორგანიზაციებს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებიდან დაფინანსებულ სტრუქტურებს, რადგან მათზე განკუთვნილი ხარჯები შედარებით მცირეა და, გარდა ამისა, არსებობს ბევრი შეზღუდვა, რომლებიც ლიმიტს უწესებენ ორგანიზაციათა მიერ განკუთვნილ სახელფასო დანახარჯებს. შესაბამისად, იმის ფონზე, როდესაც ეკონომიკის ზრდა ქვეყანაში შენელებულია და ეს მკვეთრად აისახება გადასახადების შეგროვებაზე, სახელმწიფო სახელფასო ხარჯების ზრდა, სულ მცირე, კითხვებს ბადებს.

ნიკო ეზვანიძე

მიმდინარეობს გზის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია

საბარტოველს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საერთაშორისო მნიშვნელობის თბილის-სენაკი-საქართველოს საავტომობილო გზის 156-ე კილომეტრზე, კერძოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნეში, გზის დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენის სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში მოენციობა: ქვედა საყრდენი კედლის საძირკველი, კედლის ჩანგრეულ მონაკვეთზე - ახალი რკინა-ბეტონის კედელი და გამორეცხვისგან დასაცავად და გამარეცხვის მიზნით - რკინა-ბეტონის დამცავი კონსტრუქციები. ასევე, კედელში განთავსდება სადრენაჟე მილები. აღნიშნული ღონისძიებები გზის ვაკის გამორეცხვისა და დაზიანებისაგან დაცავს.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 751 705 ლარია.

„საპარტიველოს კათოლიკოს-პატრიარქი 18 ნოემბერს მოსკოვს უნდა ეწვიოს. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აცხადებს, რომ ვიზიტი კერძო ხასიათისაა, მისი მიზანი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კირილეს 70 წლის აღსანიშნავ იუბილეში მონაწილეობაა, თუმცა იქვე იდუმალად ამბობენ – „ილია მეორეს შეუძლია რუსეთის ყველა წარმომადგენელს შეხვედეს...“ – ნათქვამია რუსულ გამოცემა „Независимая газета“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის ქართულენოვან ვერსიას დღეს გთავაზობთ.

მოსკოვსა და თბილისში დიდი ხანია, შეეჩვივნ იმას, რომ საქართველოს სულიერი ლიდერის რუსეთში ვიზიტები, მართალია, „კერძო ხასიათისაა“, მაგრამ, ფაქტობრივად, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე განხორციელებულ შეხვედრებს მოიცავს, რომლის დროსაც მწვავე პრობლემებზე მსჯელობენ. ასე იყო 2011 წლის ნოემბერში, როცა მოსკოვში, პატრიარქ კირილეს 65 წლისთავთან დაკავშირებით ვიზიტის დროს, ილია მეორე დიმიტრი მედვედევს შეხვდა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დევნილთა დაბრუნების საკითხები განიხილეს... სოხუმისა და ცხინვალის საკითხი საქართველოსა და რუსეთისათვის არის როგორც „ლოდი დაბრკოლები“, ისე გადაუდებელი დიალოგის საბაზიცი. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ფედერაცია ამ ახალგაზრდა რესპუბლიკებს დამოუკიდებლად აღიარებს, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მაინც საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიებად თვლის.

პოლიტოლოგი ალასი არაბიანი, საქართველოს სსრ-ში დაბადებული, ამჟამად კი „რუსეთის ჯავახური დიასპორის“ ხელმძღვანელი, „ნეზავისიმია გაზეტა – რელიგიის“ ყურანლისტთან საუბრის დროს ამბობს, რომ მოსკოვში ილია II-ის ვიზიტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დათბობის მანიშნებელია:


რას მოუტანს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს მოსკოვში პატრიარქ ილია მეორის სტუმრობა?

„ნაზავისიმია გაზეტა“: საქართველოს პატრიარქის კერძო ვიზიტი უსაბულო საფუძვლად მიზნობით

„ილია მეორე საქართველოს არა მარტო სულიერი, არამედ პოლიტიკური ლიდერია. ჩემი აზრით, ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალებს მას შუამავლობის თხოვნა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის პროცესში, ანუ არაფორმალური დიპლომატიის თბილისში არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, რომ ეკლესიას დიპლომატიის როლის შესრულება უფრო მეტად შეუძლია, ვიდრე ქართულ საგარეო საქმეთა სამინისტროს. ამჟამად თბილისსა და მოსკოვს შორის პროტოკოლური დიპლომატიური კონტაქტები შეუძლებელია, რადგან დიპურთიერთობა ჯერ კიდევ 2008 წლიდანაა განწყვეტილი. საელჩოები არ მუშაობენ, რადგან ეს საქართველოს ხელისუფლებას არ სურს. „ქართულ ოცნებას“ რკინიგზური პირობა აქვს: რუსეთმა ჯარები უნდა გაიყვანოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთიდან, კომპენსაცია უნდა გადაიხადოს და როცა ეს მოხდება, მერე უკვე დალაპარაკება შეიძლება. მაგრამ ამგვარმა მიდგომამ საქართველო რეალურ ჩიხში შეიყვანა. სამწუხაროდ, თბილისს ჯერ-ჯერობით მეტის შემთავაზება არ შეუძლია – ხალხი მთავრობას

ვერ გაუგებს და დაამბობს. ამიტომაც ახლა თბილისის ალტერნატიული პოლიტიკური სვლა-გეზის ძიების პროცესშია. ილია მეორე რუსეთის საკითხებისათვის საუკეთესო ალტერნატიული დიპლომატია – იგი შეუდარებელი ავტორიტეტი საარგებლობს რუსეთში მცხოვრებ ქართველებში, მას დიდ პატივს სცემენ როგორც რუსეთის ეკლესიის ლიდერები, ასევე რუსი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები“, – ამბობს ალასი არაბიანი.

სამხრეთ კავკასიის საკითხთა სპეციალისტის ვლადიმერ ზახაროვის აზრით, „კერძო ვიზიტი ხშირად შენიღბვას ემსახურება, მაგრამ ილია II-ს კერძო პირს ვერ ვუნდობთ, იგი, ფაქტობრივად, რუსული საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს და მსოფლიოში მცხოვრებ ყველა ქართველს აერთიანებს. უჭყველია, რომ კირილესთან შეხვედრაში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. პრობლემა ბევრია, გადანაცვლება კი პოლიტიკოსებისგან არავის შეუძლია. საქართველოს ხელისუფლება ჩიხშია, თბილისმა მოსკოვთან ურთიერთობა თუ არ მოაგვარა,



ისე შორს ვერ წავა. დიას, საქართველო აცხადებს ევროპასთან იდენტობას, ევროატლანტიკურ ინტეგრირებას, მაგრამ რას მიიღებს საქართველო ევროპისგან? ან რას შესთავაზებს საქართველო ევროპას, საკუთარი ტერიტორიის გარდა? ქართული ღვიძი და ხილი ევროპას მაინც ცდამინც არ სჭირდება, ეს პროდუქცია მხოლოდ რუსეთში იყიდება“.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ილია II მხოლოდ კირილესთან შეხვედრით შემოიფარგლება და თუ ეს ვიზიტი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს, მას მაინც ექნება თავისი განზომილება: მიმდინარე წლის ივნისში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უარი თქვა კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბართლომეს ინიციატივით კრეტაზე დაგეგმილ მსოფლიო კრებაში მონაწილეობაზე. იგივე გადანაცვლებები მიიღო სერბეთის ეკლესიამაც, რომლის პატრიარქს ირინეს კირილე ლონდონში შეხვდა. არაა გამორიცხული, რომ კრეტაზე გამართული მსოფლიო კრების „უარყოფელი“ ეკლესიების კონტაქტებმა შეიძლება ხელი შეუწყოს არაფორმალური გაერთიანების შექმნას. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლის პატრიარქატის ფაქტორი თბილისისთვის და მოსკოვისთვის ერთნაირად საფრთხის შემცველია; უკრაინელი და აფხაზი მართლმადიდებელი „რასკოლნიკები“ ბართლომესთან თხოვნით დადიან, რომ მათი უფლებამოსილება იმ ტერიტორიებზე გავრცელდეს, რომლებსაც ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიები თავის კანონიკურ ტერიტორიებად მიიჩნევენ.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული და რუსული ეკლესიების ლიდერების კონტაქტები ცალმხრივია: ალექსი II-საგან განსხვავებით, რომელიც საკმაოდ ხშირად სტუმრობდა სოლემ საქართველოს, კირილე, პატრიარქის სტატუსით, ამ ქვეყანაში ჯერ არ არის წამყოფი.

ნიუსპრესი.

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, შინ უნდა აპოინდინოს ქართული ოცნება



ირაკლი ნაცუშია
№61 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ფოთი.



ირაკლი ბერია
№63 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. სანაპი.



ირაკლი ბერია
№64 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. სოპი.



ირაკლი ქვარავაძე
№65 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ჯუმათი.

სახიფათო თავაშუი

(მეხუთე გვერდიდან)

ამის კლასიკური მაგალითია ვანო ჩხარტიშვილისა და პატარკაციშვილების ოჯახის დავაზე ქართული სააპელაციო სამართლის მიერ დიდი ბრიტანეთის სამეფო სასამართლოს აბსოლუტურად სანინააღმდეგო გადაწყვეტილება

კიდევ ერთი „პატარა“ და ძალიან შემაშფოთებელი ნიუანსი – ბოლო დროს ვიუტად ვრცელდება ინფორმაცია (ჭორი), რომ სააპელაციო სასამართლო გუჯაბიძის თავმჯდომარეობით მოქმედებს „ზემოდან“ მითითებებით. ეს ჭორი ყურადსაღები და, მით უფრო, საშიში არ იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა – იგი უშუალოდ სასამართლოს კულუარებიდან ვრცელდება. მართალი გითხრათ, სიმართლესთან მის სიახლოვეში დარწმუნებული სულაც არა ვარ, მაგრამ თავისთავად ასეთი ფაქტი მართლაც ძალიან შემაშფოთებელია – სასამართლო სისტემაში არსებობს რაღაც ძალა, რომელიც სასამართლოსთვის სახელის გატყუებას ცდილობს.

ვინაიდან უკვე მესამე ჩემი ოპონენტების საყვედურები, ძალიან მოკლედ განვმარტავ, ერთი წლის განმავლობაში უკვე მეხუთედ(!) რატომ ვუბრუნდები ერთი შეხედვით არცთუ რთულ სასამართლო დავას.

სანამ სიკვდილის აქლემი თქვენს კართან ჩაიშუსლებდეს...



ზოგადად, სასამართლოში და კერძოდ, „თიბისი“ „აგრიკომი“ – ჩხარტიშვილის დავაშიც უნდა გადაწყდეს, საით მიდის არა მარტო ქართული მართლმსაჯულება, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობა – სამართლისა და კანონიერების დამკვიდრებისკენ, ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისკენ თუ ისევ იმ ბნელი ჯურღმულისკენ, რომელშიც სააკაშვი-

ლის ცხრანლიანი რეჟიმის პერიოდში ვიმყოფებოდი.

2012 წლის ოქტომბრიდან მხოლოდ ოთხი წელიწადი გავიდა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაც დარჩა. ეს შეეხება ე. წ. ორგანიზაციულ მხარესაც და, რაც მთავარია, საკადრო პოლიტიკასაც. ეს პრობლემები არ არის იოლი გადასაჭრელი, მაგრამ

ამქვეყნად ყველაფერს თავისი დრო აქვს. სანამ ქართული სამართლებრივი სისტემა წინა ხელისუფლებისგან რაღაცით დავალეულნი, ჩამოწერილი პოლიტიკოსების მითითებების შემსრულებელი მშინარა და უპრინციპო პერსონებისგან არ გათავისუფლდება, მანამ სამართლებრივ საზოგადოებაზე, ევროპულ დემოკრატიულ ღირებულებებზე, ბიზნესისა და პიროვნების თავისუფლებაზე ლაპარაკი არაფერია უსაგნო ლაპობის გარდა.

მესმის, რა თქმა უნდა, მესმის, რომ სულაკაძისნაირი თავზხელაღებელი მოსამართლეებისგან თუნდაც ოთხ წელიწადში სრული გათავისუფლება რთულია, მაგრამ შეუძლებელი სულაც არ უნდა იყოს.

ასეთი სამართლებრივი „თამაშები“ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას. სწორედ ამიტომ ვუბრუნდები ამ არცთუ რთულ სასამართლო დავას უკვე მეხუთედ – სიკვდილის ორკუთხედში აქლემმა ზურგზე სულაკაძე-გუჯაბიძის ტანდემით, სვალთქვენს კართანაც რომ არ ჩაიშუსლოს.



თამარ ქვარავაძე

ფეხბურთი

ჯერ რუსეთს ვუბნისკლავთ

15 ნოემბრიდან წყალბურთულ ფეხბურთის მსოფლიოს ლიგის ევროპული ეტაპის 2016-2017 წლების გათამაშებაში II გუნდი ჩაებმება. ამ დღეს საქართველოს ნაკრები „ოლიმპიკის“ აუზში რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებთან 2014 წლის ევროპის ჩემპიონატზე ორი ორთაბრძოლა დაეთმეთ - 12:16 და 8:9. ამდენად, რევანში გვაქვს ასაღები.

მსოფლიო ლიგის ევროპული ეტაპის მონაწილენი წილისყრით სამ გჯგუფში გადანაწილდნენ:



A გჯგუფი: რუმინეთი, გერმანია, სლოვაკეთი, სერბეთი.

B გჯგუფი: პოლანდია, ხორვატეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი.

C გჯგუფი: საქართველო, იტალია, რუსეთი.

ჩვენს გჯგუფში იყო თურქეთიც, მაგრამ სამხრეთელმა მეზობლებმა ბოლო მომენტში თამაშზე უარი თქვეს. 15 ნოემბრის მატჩისთვის საქართველოს ნაკრები (ნი-

კოლოზ შუბლაძე, გიორგი ხვედელიანი, კოტე გეგელაშვილი, ბექა ქავთარაძე, ხვიჩა ჯახაია, გიორგი ნულუკიანი, ნიკოლოზ შუშიაშვილი, ბექა კაპანაძე, გიორგი მესხი, ირაკლი რაზმაძე, გიორგი მაგრაქველიძე, სანდრო ადგიშვილი, ალექსანდრე რუსიშვილი, ლევან ჩიქვინიძე) მთავარი მწვრთნელის - იოვან პოპოვიჩისა და მწვრთნელ ვლადიმერ ისელიძის ხელმძღვანელობით 28 ოქტომბრიდან ნოვი სადში (სერბეთი) ემზადება. 4 ნოემბრიდან კი უნგრეთს მიაშურებს და ერთგვირიან სანგურთნელ შეკრებას იქ გაივლის. ჩვენი გუნდი შინ 13 ნოემბერს დაბრუნდება. ამ დღეს ჩამოვლენ თბილისში ლეგიონერებიც: ზურაბ რურუა (რუმინეთის „სპორტული“), ანდრია ბითაძე (იტალიის „ვის ნოვა“), მარკო ელჩაჩა (იტალიის „ვერონა“), რევაზ იმნაიშვილი (სლოვაკეთის „ნოვაკი“) და დამირ ცრეპულია (ევვიპტე). მწვრთნელები გუნდის საბოლოო შემადგენლობას მატჩის წინა დღეს დაასახელებენ.

C გჯგუფის კალენდარი 15 ნოემბერი, 2016 წ. საქართველო - რუსეთი.

6 დეკემბერი, 2016 წ. იტალია - რუსეთი.

10 იანვარი, 2017 წ. იტალია - საქართველო.

14 თებერვალი, 2017 წ. რუსეთი - საქართველო.

14 მარტი, 2017 წ. რუსეთი - იტალია.

15 აპრილი, 2017 წ. საქართველო - იტალია.

ლიანო ცინცაძე

კალათბურთი



ნა-ში უსტბრუკი და ჯეიმსი გამოარჩიეს


ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის განვლილი კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასაველეთ კონფერენციაში „ოკლაჰომას“ გამთამაშებელი რასელ უესტბრუკი და აღმოსავლეთში „კავალიერზის“ ლიდერი ლებრონ ჯეიმსი დაასახელებს. აღნიშნულ ინფორმაციას ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

„კლივლენდმა“ სამიდან სამივე შეხ-

ვედრა მოიგო, „მეფე“ კი საშუალოდ ერთ მატჩში 21 ქულას, 10 პასს და 8.3 მოხსნას აგროვებდა. „ოკლაჰომამაც“ სამივე შეხვედრა მოიგო, რასელი კი საშუალოდ ერთ ბრძოლაში 38.7 ქულას, 12.3 მოხსნას და 11.7 პასს უყრიდა თავს, თანაც, უესტბრუკმა ორ შეხვედრაში სამი მაგი დუბლი შეასრულა.

პიტალი ჯაფარიძე

რაგბი



ინგლისი ნოემბერს დანაკლისით სვდება

ინგლისის ნაკრები ნოემბრის ტესტ-მატჩებს დანაკლისით ხვდება. ტრავმებით განსაკუთრებით მეორეხაზელები დაზარალდნენ და მარო იტოუესა და ჯორჯ კრუიზის შემდეგ ედი ჯონსი „ნორთემპტონის“ 27 წლის მორაგბე ქორთნი ლოუსაც მოისაკლისებს.

მას მუხლის ტკივილები აწუხებს, რომლის მოშუშება გაჭიანურდა: „ქორთნის დაზიანება ძალიან შემამშფოთებლად გამოიყურება. სამწუხაროდ, გაუმჯობესებას ვერ ვხედავთ. აუცილებელია სკანირება, რათა ტრავმის სიმძიმე დავადგინოთ. ვფიქრობ, ის ნოემბრის ტესტ-მატჩებს გამოტოვებს. ყოველ შემთხვევაში, მოედანზე მიწაში 2-3 კვირა ვერ გავა“- განაცხადა „ნორთემპტონის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ მალინდერმა.

ინგლისის ნაკრები 12 ნოემბერს სამხრეთ აფრიკას მასპინძლობს, 19-ში ფიჯის მიიღებს, 26-ში არგენტინას დაუხვდება, ხოლო 3 დეკემბერს ავსტრალიას შეხვდება.

კობა კობახიძე

ჩოგბურთი



უიღლო სტარტი

წყვილთან ანდრეა კლეპაჩი - არანჩა პარა სანროისთან 1:6, 6:7 (1:7) დამარცხდა. ბრძოლა საათსა და 15 წუთს გაგრძელდა. პირველ სეტში ესპანურ-სლოვენურმა ტანდემმა დამაჯერებლად იმარჯვა, მეორე პარტიაში კი ტატიანა მარია კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ოქსანა კალაშნიკოვას გადამწყვეტ მომენტებში არაფერი გამოდიოდა, რის გამოც საბოლოო ჯამში დამარცხდნენ.


დღეს ქართულ-გერმანული დუეტი ჩინურ წყვილს იან ჟაოქსუანი - იუ ქსი-აოდის შეხვდება.

ზაღრი იაშვილი

ფეხბურთი

გვარდიოლას აჩრდილი

სომ გახსოვთ პოპულარული კინოშედეგები „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“. პოდა, „სიტი“ - „ბარსელონას“ შეხვედრის მიმოხილვისას, დაგვეთანხმებით, უპირაძე იქნება ვიგულისხმობ, რომ ერთმანეთს ინგლისელთა მოქმედი და კატალონიელთა ყოფილი თავკაცი პე გვარდიოლა დაუპირისპირდნენ.



ვფიქრობ, კითხვაც არ უნდა, რატომ, რადგან ყველამ იცის, რომ, მართალია, „ნოუ კამპის“ ბინადრებს აშაჰამად ლუის ენრიკე ავარჯიშებთ, მაგრამ გუნდი მისი წინამორბედის სამწვრთნელო კრედოს ერთგული რჩება.

„სიტი“ - „ბარსელონა“ 3:1 პირველი ტაიმი 1:1 ბოლში: გუნდოგანი (2), დე ბრუნი; მესი

პრინციპულ მეტოქეთა პირველი წრის შეხვედრისგან განსხვავებით, მასპინძელთა დამრიგებელმა პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი მეგობარ კოლეგას, თუმცა, სარევანშო ბილიკს მხოლოდ შესვენების წინ შეუყვავა, როცა სერხი რობერტოს საბედისწერო შეცდომას ტერ შტეგენის კარში გატანილი საპასუხო გოლი მოჰყვა - 1:1.

აქედან მოყოლებული, მოვლენები მიწოდორზე გვარდიოლას დანერვილი სცენარის შესაბამისად განვითარდა და მის შეგირდთა დამსახურებული გამარჯვებ-

თაც დაგვირგვინდა. არადა, მანამდე... მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, ამიტომ სავსებით ლოგიკურად გამოიყურებოდ ის ფაქტი, რომ პიკეს, ალბასა და ინესტას გარეშე მოთამაშე „ბლაუგრანა“ ნეიმარ-მესის ელვისებური კონტრშეტევით დანინაურდა. ცნობისათვის: არგენტინელმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში 57-ე პურთი მიითვა და ამ ნომინაციაში ან უკვე ექსპერტპიროვნულ ლიდერს, „რეალის“ ლეგენდარულ ბომბარდირს რაულს დაენია.

მეოთხე ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: „გლადბახი“ - „სელტიკი“ 1:1, „ლუდოგორენი“ - „არსენალი“ 2:3, „ატლეთიკო“ - „როსტოვი“ 2:1, „ბეშიქთაში“ - „ნაპოლი“ 1:1, „ეინდჰოვენი“ - „ბაიერნი“ 1:2, „ბენფიკა“ - კიევის „დინამო“ 1:0, „ბაზელი“ - „პარი სენ-ჟერმენი“ 1:2.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

ბარათის ოჯახური იდილია



უელსელი გარეთ ბეილი ფეხბურთელთა იმ იშვიათ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც გულსისწორად წლების მანძილზე არა ცნობილი მოდელი, მსახიობი ანდა ტელევიზორკვლავი, არამედ ის ქალი ჰყავს, რომელიც ბავშვობიდან უყვარს და ეტრფის, ვითარცა გედია მარიტას.

მიუხედავად იმისა, რომ გარეთსა და მის სატრფოს ემა ჯონსს უკვე ორი საერთო შვილი ჰყავთ და კარგა ხანია მშვიდად და უდრტივინველად თანაცხოვრობენ, გარეთ ბეილი ამ ქალზე დაქორწინებული არაა და, როგორც ჩანს, ამას წყვილის ურთიერთობაში რაიმე დისონანსი ვერაფერობით არ შეუტანია.

ერთი ისაა, რომ მავანნი იხახიან, ეს ჩვენი უელსელი გარეთიც კი ხელმომჭირნე ვინმე ყოფილაო და მასზე გულდათოქვით შეყვარებულ ქალზე მხოლოდ იმიტომ არ ქორწინდება, რომ განშორების შემთხვევაში ქონების გაყოფისა ეშინიაო. ეს სიმართლევ რომ იყოს, გარეთს სხვათა აზრები დიდად რომ არ ალელევენს - ცხადია... როსტომა რაჭველიშვილი

კანონპროექტი

უპილად აყვანის წესი ისვლება

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში სამართლებრივი რეგულაციები იცვლება. პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ და მისმა პირველმა მოადგილემ მირიან წიკლაურმა შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ სრულიად ახალი საკანონმდებლო პროექტი მოამზადეს. ამასთან, ცვლილებები 12-მდე სხვადასხვა კანონში სორცეიდდება.

პროექტის მიხედვით, ერთ-ერთი სიახლეა ის, რომ სავალდებულო მოთხოვნად განისაზღვრა შვილად აყვანის მსურველი და მინდობით აღზრდის მსურველი პირებისათვის, მშვილბელთა ან მინდობით აღზრდელთა მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გაგება – სერტიფიცირება, რაც შვილად აყვანის მსურველი პირების გასამზადებელ ბავშვთა და მშვილბელთა ერთიან რეესტრში აღრიცხვის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. ბავშვის შვილად აყვანის მსურველი პირების მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი გაცემა, რომელიც შვილად აყვანის

ნის მსურველმა პირებმა სხვა დოკუმენტებთან ერთად, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს უნდა წარუდგინონ.

მოქმედი კანონმდებლობით, ბავშვი მიტოვებულად აღიარებას ექვემდებარება, თუ ბავშვის 24-საათიან სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის ხანგრძლივობა 6 თვეს აღემატება. წარმოდგენილი ცვლილებით აღნიშნული 6-თვიანი ვადა 3 თვემდე მცირდება.

ბავშვის მიტოვებულად აღიარების საფუძველს ემატება ის შემთხვევა, თუ დადგინდა, რომ მშობელი, არასაპატიო მიზეზით არ იჩენს სისტემატურ ყურადღებას ბავშვის მიმართ და მიუხედავად მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს გაფრთხილებისა, 2 თვის განმავლობაში კვლავ არ იტყვება შვილის ბედით. ასეთ შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია განიხილოს ბავშვის მიტოვებულად აღიარების ან მოშლის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის საკითხი. განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს სააგენტოს.

მოქმედი კანონმდებლობით



დადგენილია მშვილბელსა და გასამზადებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა, რომელიც არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები. კანონპროექტით ხდება მშვილბელსა და გასამზადებელ ბავშვს შორის მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობის დადგენა. კერძოდ, 10 წლამდე ბავშვის გაშვილების შემთხვევაში, მაქსიმალური სხვაობა 7 წლიდან 10 წლამდე ასაკის ბავშვის გაშვილების დროს, შესაძლებელია იყოს 45 წელზე მეტი, თუ ეს მის ინტერესებს შეესაბამება. ზედა ასაკობრივი ზღვარი არ ვრცელდება ქორწინებაში მყოფ მშვილბელზე, როდესაც რომელიმე მათგანი ამავე პუნქტით განსაზღვრულ

მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამასთან, შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირების მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს ასაკობრივი შეზღუდვის ზედა ზღვარი არ მოქმედებს.

გარდა ამისა, პირებისათვის, რომელთაც ბავშვის შვილად აყვანა სურთ, ნასამართლობასთან დაკავშირებული პირობები მკაცრდება. კერძოდ, პირი ვერ იქნება მშვილბელი, თუ იგი ნასამართლევი კანონპროექტში გასაზღვრული „სისხლის სამართლის კოდექსის“ კონკრეტული მუხლებით, მიუხედავად იმისა, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა.

საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. მისი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მომავალ პარლამენტს მოუწევს.

სალხის სმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აპოინდინოს ქართული ოცნება



გიორგი გულციკაია
№67 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. წალენჯიხისა.



შალვა სალციკაი
№68 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ბათუმი.



ლევან ბახიანი
№69 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ბათუმი.



მუსაევ ვახანი
№70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ბათუმი.

სოსილურად დაუსვლავს შუაში უზრუნველყოფა

მთაწმინდის რაიონის გამგეობის, ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის შედეგად, დაბა კოჯორში, გიორგი ანწუნელიძის სახელობის სერფანტა მომზადების ცენტრის ტერიტორიაზე არსებულ ტყეში, გამხმარი და ავარიული ხეები მოიჭრა, რომელიც საშემდეგ კოჯორსა და კიკეთში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცათ.

„განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თავდაცვის სამინისტროსა და გიორგი ანწუნელიძის სახელობის სერფანტა მომზადების ცენტრს, რომელთა დახმარებით ხეების მოჭრა და ტყიდან გამოტანა განხორციელდა. ზამთარი წელს ადრე დადგა, ამიტომ მნიშვნელოვანია, მოქალაქეები სათბობი შემთხვევაში მაქსიმალურად სწრაფად უზრუნველყოფილი იქნათ.“ – განაცხადა მთაწმინდის რაიონის გამგებელმა გელა არჩვაძემ.

გამგებლის თქმით, აღნიშნულ დახმარებას გამგეობისგან რაიონში მცხოვრები ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი მიიღებს.



ამ დროისათვის მიმდინარეობს ხელოვნური ნაგებობებისა და სადრენაჟე არსებების სამშენებლო სამუშაოები. ასფალტბეტონის საფარი 1,2 კილომეტრზეა დაგებული.

პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის (SLRP III) ფარგლებში ხორციელდება და მისი ღირებულება 2 542 275 ლარია. სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და 2017 წლის მაისში დასრულდება.

რეაბილიტაციის მონაკვეთის სუპერპროექტი

საპარტიველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გივი ჩოჩიაშვილმა სოფელ დიდგელთან მისასვლელი 4-კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა.

აღნიშნული მონაკვეთი ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარის გზის მე-17 კილომეტრზე იწყება, გაივლის სოფელ რიკოთს, დიდგელს და სოფელ ვარციხეს უერთდება.

რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს გზის საავტომობილო ნაწილის, ადგილობრივი გზებთან მიერთებების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელის, ავტობუსის გაჩერებების, წყალგამტარი მილების და გადასასვლელის მოწყობას. ასევე, განხორციელდება გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

განხილვის ნიშნავლები გაიხსნა ასევე, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის (რიკოთის გვირაბის აღმოსავლეთ პორტალი) მო-

ნაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისთვის. აღნიშნული 14-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მიდის, აგარა-ზემო ოსიაურის გზის გაგრძელებას წარმოადგენს. ახალი გზა ჩრდილოეთიდან გვერდს აუვლის ხაშურს, სურამს, ჩუმათელეთს და რიკოთის გვირაბთან გამოვა.

ქილპო პირთი სისტემის „ჰილტონ თბილისი“

თბილისში 2019 წელს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰილტონ თბილისი“ გაიხსნება. იგი ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში განთავსდება. 200-ნომრიანი სასტუმროში 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. შესაბამისი კონტრაქტი კორპორაცია „ჰილტონსა“ და კომპანია „გრანატს“ შორის გუშინ გაფორმდა. კონტრაქტს ხელი მოაწერეს კორპორაცია „Hilton Worldwide“-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ კოლინიმ და კომპანია „Granat Georgia“-ს პრეზიდენტმა ელგუჯა ცინცაძემ.

ხელმოწერის ცერემონიას პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუცისიშვილი დაესწრო.

2015 წელს კომპანია „გრანატსა“ და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიამ აიღო ვალდებულება თბილისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში გაეხსნა საერთაშორისო ბრენდის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო.



საქართველოს რეკონსტრუქციის და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 ოქტომბრის №1-1/562 ბრძანების შესაბამისად:

„საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ხორციელდება E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის (ლოტი მე-2 კმ11+500. 30+000) მშენებლობა.

გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველოში მოიპოვა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი, შესაბამისად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, სატრანსპორტო სექტორის განვითარება აუცილებელია სათანადო ეკონომიკური ზრდისთვის და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. საქართველოს უმთავრესი პრიორიტეტია აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის (კასპის ზღვასა და შავ ზღვას შორის) და ჩრდილოეთ-სამხრეთის გზის (რუსეთსა და თურქეთს შორის) გაუმჯობესება. საქართველოს მთავრობამ აღმოსავლეთ-დასავლეთ სატრანსპორტო დერეფნის მოდერნიზაციაში მხარდაჭერა სთხოვა ევროპის საინვესტიციო ბანკს, კერძოდ, დახმარებისათვის მიმართა სამტრედია-გრიგოლეთის ახალი 4-ზოლიანი გზის პროექტის მხარდასაჭერად. 2009 წელს „საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ წარდგინა მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის მოდერნიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და რეკომენდებული მიმართულების გარემოსდაცვითი შეფასება. გზის ამ მონაკვეთმა უნდა უზრუნველყოს E-60 მაგისტრალის შესტაფონი-ქუთაისი-სამტრედია მონაკვეთის უწყვეტობა.

„საავტომობილო გზების დეპარტამენტში“ 2014 წელს დამუშავებული ტექნიკური დავალების თანახმად, საავტომობილო გზა დაიყო 4 ლოტად:

- I ლოტი კმ0+000-კმ11+500
- II ლოტი კმ11+500-კმ30+000
- III ლოტი კმ30+000-კმ42+000
- IV ლოტი კმ42+000-კმ51+570

E-60 მაგისტრალი სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის II ლოტი (კმ 11+500-30+000) იწყება ჯაპანას ახლოს და სრულდება ლანჩხუთის ახლოს.

დასახელებული პროექტების განხორციელების მიზნით აუცილებელი, პროექტის შემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე შეთანხმება თითქმის ყველა მესაკუთრესთან მიღწეულია. შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული პროექტის შემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე - ბადრი ბუბუტიევი (პ/ნ 17001033225, 3 უძრავი ქონება, საკადასტრო კოდები - № 27.06.50.010, 27.06.50.021, 27.06.50.078, მის: ქალაქი ლანჩხუთი). ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ წარმომებული მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, შემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და განმეორებით მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობითი გასხვისების წინადადება მისი შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სახატვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრე ინფორმირებული იქნა, რომ მისი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მისი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ლონისძიებებს. შესაბამისად, თანხმობის მიუღწევლობის გამო, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, 2016 წლის 25 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/562 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლი-

თაც ბადრი ბუბუტიევი შვილის საკუთრებაში არსებულ 3 უძრავ ქონებაზე: 1) ს/კ 27.06.50.010 მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2500 კვ.მ საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 1107 კვ.მ, 2) ს/კ 27.06.50.021 მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2900 კვ.მ საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 1654 კვ.მ, 3) ს/კ 27.06.50.078 მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 3497 კვ.მ საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 2536 კვ.მ, ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე). საექსპროპრიაციო უძრავი ქონება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, რომელზეც განთავსებულია ერთლიანი და მრავალლიანი ნარგავები.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიაციის უფლება პროექტისათვის ნარგავი ფართზე. ექსპროპრიაციის უფლება უნდა გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 ოქტომბრის №1-1/562 ბრძანებით განსაზღვრულ შემდეგი მესაკუთრის ქონებებზე: 1. ბადრი ბუბუტიევი (პ/ნ 17001033225) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №27.06.50.010 მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2500 კვ.მ საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 1107 კვ.მ და მასზე განთავსებული ერთლიანი და მრავალლიანი ნარგავები, 2. ბადრი ბუბუტიევი შვილის (პ/ნ 17001033225) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №27.06.50.021, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2900 კვ.მ, საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 1654 კვ.მ და მასზე განთავსებული ერთლიანი და მრავალლიანი ნარგავები, 3. ბადრი ბუბუტიევი შვილის (პ/ნ 17001033225) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №27.06.50.078, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 3497 კვ.მ, საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 2536 კვ.მ და მასზე განთავსებული ერთლიანი და მრავალლიანი ნარგავები.

სალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აპოინდინოს ქართული ოცნება



გიორგი ნახიძე №71 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ქობულეთი.



ილია ნახიძე №72 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ხელვაჩაურის.

სვალდანი შემოგთავაზებთ „ქართული ოცნების“ პროპორციული სიით არჩეულ პარლამენტარებს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს იმზე ფაჩუაშვილის და ანარ იბადოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე. აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: იაშვი ფაჩუაშვილი (პ/ნ 42001026535), ფოთი, გურიის ქ. №191, ბინა №25.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ფოთი, გურიის ქ. №191, მე-5 სართული, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 04.02.11.566.01.022).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 20935.19 ლარი; აუქციონის დაწყების თარიღი: 2016 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

აუქციონის დასრულების თარიღი: 2016 წლის 17 ნოემბერი, 14:00 საათი. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HHP36753616;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 367536

მოვალე: ანარ იბადოვი (პ/ნ 61091000467), ფოთი, გურიის ქ. №191/16.

აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HHP36753616; ლოტის ნომერი: 367536)

2. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ანარ იბადოვი (პ/ნ 61091000467), ფოთი, გურიის ქ. №191/16.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ფოთი, გურიის ქ. №191, მე-4 სართული, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 04.02.11.566.01.016).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 31586.77 ლარი; აუქციონის დაწყების თარიღი: 2016 წლის 3 ნოემბერი, 12:00 საათი.

აუქციონის დასრულების თარიღი: 2016 წლის 17 ნოემბერი, 14:15 საათი.

აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HHP36753716;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 367537

აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HHP36753716; ლოტის ნომერი: 367537).

მოვალე: ანარ იბადოვი (პ/ნ 61091000467), ფოთი, გურიის ქ. №191/16.

3. აუქციონის გამოქვეყნებულია სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

4. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“;
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
- ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 16 ნოემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

სსოპნა

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დამსახურებული ლოტბარისა და ჩინებული მოქალაქის

თეორ საყვარელიძის

გარდაცვალების გამო და მის მეუღლეს, პროფ. ლია ბითაძეს ვუცხადებთ თანაგრძნობას.

ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დამსახურებული ლოტბარისა და ღირსეული მოქალაქის

თეორ საყვარელიძის

გარდაცვალების გამო და მის მეუღლეს, პროფ. ლია ბითაძეს ვუცხადებთ თანაგრძნობას.

ბოტანიკური ბაღის ყოფილი ტერიტორია სხვა იხვეწის

დედაქალაქის მერი აცხადებს, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღის ყოფილი ტერიტორიის განაშენიანების გეგმა მის საინტერესოდ განვიტარებთ და დამატებით გამწვანებას გულისხმობს.

ლეზლად იქნება შემოტანილი. ხეების მოჭრასთან დაკავშირებით საკითხი ჯერჯერობით არ დამდგარა, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის ბოტანიკური ბაღის ყოფილი ტერიტორიის განაშენიანების გეგმა საკრებულომ სამშაბათს დაამტკიცა. მას ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა. ისინი ამ საკითხზე ფართო მსჯელობას ითხოვდნენ. რაც შეეხება ამ ტერიტორიაზე ხეების სავარაუდო მოჭრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, თანაინვესტირების ფონდის წარმომადგენლების მტკიცებით, მხოლოდ დაავადებული ხეები მოიჭრება.



ლონდონში წითელი სატელეფონო ჯიხურები აღარ იქნება

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი სიმბოლო, წითელი სატელეფონო ჯიხურები ლონდონის ქუჩებიდან მალე გაქრება. როგორც სატელეკომუნიკაციო კომპანია BT-ში განმარტავენ, მათ შემუშავებული აქვთ სქემა, რომლის მიხედვითაც სატელეფონო ჯიხურები 21-ე საუკუნის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. საუბარია მოსახლეობისთვის უფასო wi-fi-სა და სხვა სერვისების შეთავაზებაზე.

წითელი ჯიხურებს მალე ახალი შეცვლის, რომელიც wi-fi-ს გარდა USB-პორტებით იქნება აღჭურვილი, რათა მოსახლეობამ ის საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს.



პირველი თანამედროვე ჯიხური — Links — ლონდონში მომავალი წლიდან გამოჩნდება. სანყის ეტაპზე ქალაქში 750 ასეთი ჯიხურის ჩადგმა დაგეგმილი. ლონდონის შემდეგ Links დიდი ბრიტანეთის სხვა ქალაქებშიც გამოჩნდება.



როში ერთ-ერთ ქუჩას თბილისის სხალი დაქვეყნა

ამის შესახებ გადაწყვეტილება რომში გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღებული, რომელსაც რომის მერის მოადგილე ლუკა ბერაგამო, თბილისის მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი და თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ხუცურაული ესწრებოდნენ.

თბილისის მერის მოადგილე და მერიის ადმინისტრაციის უფროსი იტალიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან. ვიზიტის ფარგლებში გიგა ნიკოლეიშვილი და ირაკლი ხუცურაული მონაწილეობენ მერების რიგით მეორე სამიტში სახელწოდებით „ერთობა მრავალფეროვნებაში“. სამიტს 60 ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი ესწრება.

რუსმა ტურისტებმა ქართულ საზარკულს რეიტინგში პირა ადგილი მიუჩინეს

RoomGuru.ru-ს ვერსიით, რუსი ტურისტებისათვის გასტრონომიული კუთხით საქართველო TOP-3-შია. როგორც ირკვევა, სასტუმროების საძიებო პორტალის მომხმარებლები, გასტრონომიული კუთხით უპირატესობას საქართველოს ანიჭებენ. RoomGuru.ru-ს რეიტინგში, ანუ რუსი ტურისტების აზრით, ქართული სამზარეულო მათთვის საინტერესო მიმართულებაა, იმდენად, რომ ქვეყანა ამ მხრივ რეიტინგში მეორე ადგილზე მოხვდა და მხოლოდ ბელორუსს ჩამორჩება.



რუსი ტურისტების აზრით, გასტრონომიურად მომხიბვლელი ქვეყნების ხუთეული ასეთია: ბელორუსი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და იტალია.

RoomGuru.ru-ს დაკვირვებით, ტურისტები სასტუმროს შერჩევისას დიდ ყურადღებას კვებას და სამზარეულოს ტიპს აქცევენ. აღსანიშნავია, რომ RoomGuru.ru (HotelsCombined) 3 წლის განმავლობაში World Travel Awards-ზე სასტუმროების საძიებო საუკეთესო სისტემად სახელდება.

ტურისტების რაოდენობა 93%-ით გაიზარდა

2016 წლის 9 თვის მონაცემებით, პოპულარულ ტურისტულ მარშრუტებზე ტურისტებს გასული წლისგან განსხვავებით მიმდინარე წელს 20-ზე მეტი საოჯახო სახლი ემსახურებოდა. აღნიშნულ საოჯახო სახლებში გაიზარდა დამსთვევების რაოდენობაც. 9 თვის მონაცემებით, მაჭახელას, ქედისა და ხიხანის ტურისტულ მარშრუტებზე არსებულ საოჯახო სასტუმრო სახლებში დამსთვევების რაოდენობა 93%-ით გაიზარდა, რაც ციფრებში 5 151 დამსთვევას გულისხმობს.

აღნიშნულ ტურისტულ მარშრუტებს შორის, განსაკუთრებული პოპულარობით ქედისა და მაჭახელას ტურისტული მარშრუტები სარგებლობს. ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა მაღალმთიან აჭარაში არსებულ მუზეუმებშიც. ჩხუტუნეთის, ქედისა და სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმებმა მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში 9 120 ვიზიტორს უმაპისპინძლა, რაც 35%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქოზულია 293-13-34 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16;

ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

რუსლან რუსია 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემელი: შპს „თანადგომბა“-ს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უანი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხა!

საქართველოს პარლამენტის კარგი: აშშ ფონდები - 2.4123; კერო - 2.6535; ბრიტანული მიკროსაბჭო - 2.9510; 100 რუბლი - 3.8175; თურქული ლირა - 0.7778; აზერბაიჯანული მანათი - 1.4422; 1000 სომხური დრამი - 5.0732.

აივნი 3 ნოემბრისთვის: აღმოსავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე -4, ღღ +12; შიშანი რაიონები - ღამე -6, ღღ +10; დასავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე 0, ღღ +17; შიშანი რაიონები - ღამე -4, ღღ +12; თბილისი: ღამე +1, ღღ +9

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE